ხელშეკრულება №04-49/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 აპრილი, 2016 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „ჯორჯექსი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნანა ნონიკაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №37 (იურიდიული); ღამბაშიძის ქ. №2ა (ფაქტიური)
ტელ.: 2 44 34 04; 2 44 34 00 e-mail: nana@georgex.ge
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,კორ-სტანდარტ ბანკი", კოდი: KSBGGE22; ა/ა GE41 KS00 0000 0000 4245 51
საიდენტიფიკაციო კოდი 203838124

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 08.04.2016წ. №358793; 19.04.2016წ. №400884; 19.04.2016წ. №393623; 20,04.2016წ. №407204 და 21.04.2016წ. №409515 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საფოსტო მომსახურების (CPV64100000) შესყიდვა, რაც გულისხმობს ქ. თბილისში დაგეგმილი ქიმიის (IChO) 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადის ფარგლებში მოსაწვევი წერილების გაგზავნას ქ. თბილისიდან წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მისამართებზე.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1400 (ერთი ათას ოთხასი) ლარს.
3.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილში:

N	ქვეყნის დასახელება	მისამართი	მომსახურების გაწევის ვადა (სამუშაო დღე)	ღირებულება (ლარი)
1	Syria	National Commission for the Syrian Science Olympiad; Po: 36862. Damascus	5-6	110
2	Poland	Faculty of Chemistry, The University of Warsaw, Ul. Pasteura1, Warsaw 02-093	3-4	95
3	Romania	Ministry of National Education and Research, Berthelot str., nr. 28-30, Bucharest 001131	3-4	95
4	South Africa	South Africa Science Olympiad (Organised by National Science Olympiad) P.O. BOX 2611 THE REEDs, Pretoria 0158	5-6	105
5	Kyrgyzstan	Kyrgz-Turkish Manas University, 56 Mira ave, Bishkek 720044	3-5	80
6	Iraq	Iraq National Olympiad Committee, Fezalar Education Company, 60th meter st, Near Ministry of Culture, Holy Zard, Erbil44001	5-6	115
7	Norway	University of Oslo, Department of Chemistry, Pb 1033 Blindern, Oslo 0315	2-3	90
8	Tajikistan	High School, Mayakovskiy 27/1, Dushanbe 734043	3-4	90
9	Turkmenistan	86th High School, Atamyrat Nyyazow 15, ASHGABAT 744000	2-3	90
10	Montenegro	Ispitni centar Crne Gore, Examination Centre of Montenegro, Vaka Djurovica bb, Podgorica 81000	4-5	105
11	Pakistan	H.E.J. Research Institute of Chemistry International center for Chemical and Biological Sciences University of Karachi, Karachi 75270	5-6	115
12	El Salvador 01101	Edificio Programa Jovenes Talento, Facultad de Ciencias Naturales Matematica, Universidad de EL salvador, Final de Avenida Martires y Heroes del 30 julio, San salvador 01101	5-6	115
13	Netherlands	SLO, National Institute for Curriculum Development PO Box 2041 Enschede 7500 CA	3-4	90
14	Kosovo	Chemical associations of Kosovo, Chemistry Olympiad of Kosovo 2016 , Rr. Sadullah Brestovci 105, Gjilan 60000	2-3	105

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში - შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. მომსახურების გაწევის ვადები

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა გზავნილის მიწოდებიდან წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, რაზეც უნდა გაფორმდეს გზავნილის გადაცემის დოკუმენტი/ქვითარი.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1 გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება;
7.1.2 უზრუნველყოს გაგზავნასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება და გაგზავნასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება. მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
7.1.3 უზრუნველყოს გასაგზავნი ამანათის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო პროცედურები.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
7.3.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.4.1 მოთხოვოს მიმწოდებელს გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
7.4.2 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით: მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, რასაც ადასტურებს შესაბამისი დასკვნით.
8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, მინადორა მელქაძე.
8.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მომსახურების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო კონკრეტული მომენტისთვის გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.4 იმ შემთხვევაში, თუ გასაწევი მომსახურების ვალდებულება გადააჭარბებს 7 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.
9.5 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
9.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 1 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
მინისტრის პირველი მოადგილე	გენ. დირექტორის
ქეთევან ნატრიაშვილი	ნანა ნონიკაშვილი
_____	_____

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი „22„ აპრილი, 2016 წ.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ,,ჯორჯექსს" (საიდენტიფიკაციო კოდი 203838124) შორის საფოსტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის

საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი /ეკატერინე ხამაშურიძე/ ----------

კონტროლის აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი /მინადორა მელქაძე/ ----------